პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის -- ივლისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე შ. კილაძე

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
TSKALTUBO MUNICIPALITY PUBLIC HELTH CENTER
384054 ქ.წყალტუბო რუსთაველის ქ.N25
384054, GEORGIA TSKHALTUBO RUSTAVELI ST N25
ტელ. (0436) 22–28–08 მობ.(599) 971745

68-34-2-202407041701

N 34/68

04.07.2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ა(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2024 წლის I-II კვარტლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი თან ერთვის

პატივისცემით

მანანა ტყეშელაშვილი

მმართველი

ანგარიში

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის I- II კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ შეიქმნა 2007 წლის 25 მაისს 10 საშტატო ერთეულით. 2014 წელს დაემატა 1 საშტატო ერთული დამლაგებელი. 2016 წელს დაემატა 1 საშტატო ერთეული ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი. 2020 წელს დაემატა 1 ენტომოლოგის საშტატო ერთეული, 2022 წელს გადაკეთდა სტატისტიკოსის შტატი იურისტის შტატად ასევე 2023 წელს დაემატა ექიმ ლაბორანტი და ლაბორანტი ანუ სულ 15 საშტატო ერთეულია.

2024 წელს 1-II კვარტალში ეპიდზედამხედველობით გამოვლინდა მართვადი ინფექციები მათ შორის:
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ,,C''-19 შემთხვევა
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ,,B''-9 შემთხვევა
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი ,,C" -3 შერმთხვევა
სავარაუდო ინფექციების წარმოშობის დიარიის -49 შემთხვევა
ბრუცელოზი -7 შემთხვევა
სავარაუდო საკვების მიერ მოშხამვა-122 შემთხვევა
ჩუტყვავილა -8 შემთხვევა
ლაიმიას დაავადება ბორელიოზი-5 შემთხვევა
ტუბერკულოზი -17 შემთხვევა.
ქუნთრუშა 16- შემთხვევა
ლეპტოსპიროზი 24 შემთხვევა.
ჯილეხი -2 შემთხვევა
ჰანტავირუსული ინფექცია 1 შემთხვევა
ლეიშმანიოზი 2 შემთხვევა
სიფილისი 1 შემთხვევა
აივ შითსზე ტესტირებული 8 შემთხვევა
ყივანახველა 5 შემთხვევა

იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში 2024 წლის I-IIკვარტალში წყალტუბოსა და მისი ზონის საექიმო ამბულატორიების ფიზიკური პირების (ოჯახის ექიმები მიერ)ჩატარებულია შემდეგი სახის აცრები :
დიფტერია,ყივანახველა,ტეტანუსის საწინააღმდეგო- 200 აცრა
წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო-227 აცრა
ტეტანუსი-დიფტერიის საწინააღმდეგო 157 აცრა
როტარიქსის საწინააღმდეგო 118 აცრა
პნევმოკოკური ვაქცინით 224 აცრა
პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 181 აცრა

ჰექსაქსიმის ვაქცინა- 214აცრა
ანტირაბიული 424 აცრა.

პერმანენტულად ვმარაგდებით ლ.საყვარელიძის სახელობის დავადებათა კონტქროლის და საზ.ჯანდაცვის ცენტრიდან ვაქცინებითა და დედათა და ბავშვთა ტესტებით ასევე ანტიგენის ტესტებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურად არის ჩაბმული covid-19 პანდემიის მართვის საკითხში. პერმანენტულად ხდება ბენეფიციართა კოვიდ ტესტირება ჩვენს მიერ, სწრაფი ტესტით (ანტიგენის).

2024 წლის I- II- კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრში Covid-19 ტესტირება მოხდა 2002 ბენეფიციარში. აქედან დადებითი 17.

2024 წელს I-II- კვარტალში COVID-19-ით სულ ინფიცირებული 46, გარდაცვალებას ადგილი არ ქონია.

გაიცა ტამიფლუ - 190 ბი.

პარაზიტოლოგიურ სამსახურს ახორციელებს ექიმი პარაზიტოლოგი და ლაბორანტი 2024 წელს I-II-კვარტალში პარაზიტოლოგიურ სამსახურში პარაზიტებზე (ჭიის კვერცხების მტარებლობაზე) გამოკვლეული იქნა 496 მათ შორის ენტერობიოზი აღმოჩნდა 129 პაციენტს, უარყოფითი 367.

2024 წლის I-II- კვარტალის ექიმ- პროფილაქტიკოსის ანგარიში. შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონები. ასევე შემოწმებული იქნა სკოლების და საბავშო ბაღების სან ჰიგიენური ნორმები. მსოფლიოს საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები შემდეგ თემაზე კიბოს მსოფლიო დღე, ტუბერკულოზის მსოფლიო დღე, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, მსოფლიო თამბაქოს გარეშე, სისხლის დონორთა მსოფლიო დღე ამ დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები აღნიშნულ თემებზე და დარიგდა ბუკლეტები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

2024 წლის I- II- კვარტალის ენტომოლოგის ანგარიში. შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ჭაობების, ღია და დახურული წყალსატევების მონიტორინგი. საკადასტრო რუქის შექმნით.

ბიუჯეტი ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2024 წლის I-II- კვარტალში საფინანსო მონაცემები შეადგენს.

№	პარაგრაფის დასახელება	გეგმა	ფაქტიური
1	თანამდებობრივი სარგო	76731	76036

2	საკანცელარიო	1500	1494
3	ინტერნეტი	560	507
4	ჯეოსელი	540	502
5	კომუნალური (დენი, წყალი,გაზი)	3000	2974
6	ელექ. ხელმოწერის განახლება	325	325
7	ავტოსათადარიგო	2000	1060
8	საწვავი	4000	3154
9	დაცვა	480	401
10	სამკინძაო	100	100
11	სანიტარული და საჭირო საგნები	1370	1370
12	ნორმატიული აქტები	60	60
13	სამედიცინო ხარჯი	2000	1023,50
14	მივლინება	1000	70
15	სხვა დანარჩენი	469	469
16	ჯამი	94035	89446

ა.(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მმართველი: მ. ტყეშელაშვილი.